

შპს მარსი

2017 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „მარსის“ აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მარსის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კომპანიას აღრიცხული აქვს 2,503 ათასი ლარის ოდენობის ონლაინ პოკერიდან მიღებული შემოსავალი.

რადგან ჩვენ ვერ მოგვაწოდეს სრულყოფილი სააღრიცხვო მონაცემები ონლაინ პოკერიდან მიღებული შემოსავლის შესახებ და ასევე მასთან დაკავშირებით ვერ მივიღეთ დასტურის წერილი პირდაპირ კონტრაგენტისგან, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ან ალტერნატიული პროცედურებით დავრწმუნებულებიყავით, peer-to-peer თამაშებიდან მიღებულ შემოსავალში ჩართული (შენიშვნა 5), ონლაინ პოკერიდან მიღებული შემოსავლის სისწორე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ონლაინ პოკერიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით, აგრეთვე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და მართებულია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენი ყურადღება მიიქცია მე-2 შენიშვნამ, რომელშიც განსაზღვრულია, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების შემადგენელი ნაწილის სახით, რომ ეს ფინანსური ანგარიშგება შესაძლოა საჭიროებდეს შესაბამისი ციფრების ცვლილებას იმ ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტში, რომელიც მომზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის და რომ ეს ფინანსური ანგარიშგება, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გარდა, არ მოიცავს წინა წლების შესაბამის ციფრებს. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ჩვენი პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ ხელმძღვანელობის ანგარიშთან დაკავშირებულ დასკვნას. ჩვენ გავცევით მმართველობის ანგარიშგებას და შესრულებული სამუშაოს თანახმად, სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით დავასკვნით, ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მიმოხილვაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი

უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენი საფარიანი

უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენი საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
25 თებერვალი, 2019 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2017 წელი	1 იანვარი, 2017 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,577	1,089
გრძელვადიანი აქტივების შემენისთვის გადახდილი ავანსი		1,958	-
არამატერიალური აქტივი		93	59
გრძელვადიანი აქტივები		3,628	1,148
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	17,014	15,460
მოთხოვნები სერვისის მომწოდებლების მიმართ		2,893	2,520
გადახდილი ავანსები		854	91
შეზღუდილი ფულადი ნაშთი		115	70
მარაგები		26	2
მიმდინარე აქტივები		20,902	18,143
სულ აქტივები		24,530	19,291
კაპიტალი	10		
გაუნაწილებელი მოგება		18,735	7,927
სულ კაპიტალი		18,735	7,927
ვალდებულებები			
საგადასახდო ვალდებულებები	7	2,670	5,914
მოგების გადასახადის ვალდებულება		-	2,816
კლიენტისგან მიღებული ავანსები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	9	1,597	1,666
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,528	968
მიმდინარე ვალდებულებები		5,795	11,364
სულ ვალდებულებები		5,795	11,364
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,530	19,291

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და
წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-28.

შპს მარსი

2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017
შემოსავალი	5	102,742
სხვა შემოსავალი		183
საოპერაციო ხარჯი	6	(61,483)
პერსონალის სარგებელი		(5,310)
ცვეთა და ამორტიზაცია		(347)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		35,785
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(50)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(50)
მოგება დაბეგვრამდე		35,735
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(1,675)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		34,060

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 თებერვალს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:

გიორგი ჩხეიძე
დირექტორი

ირაკლი ხვედელიანი
მთავარი ფინანსური მენეჯერი


მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-28.

შპს მარსი

2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2017
შემოსავალი	5	102,742
სხვა შემოსავალი		183
საოპერაციო ხარჯი	6	(61,483)
პერსონალის სარგებელი		(5,310)
ცვეთა და ამორტიზაცია		(347)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		35,785
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(50)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(50)
მოგება დაბეგვრამდე		35,735
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(1,675)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		34,060

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 თებერვალს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:


 გიორგი ჩხეიძე
 დირექტორი


 ირაკლი ხვედელიანი
 მთავარი ფინანსური მენეჯერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-28.

'000 ლარი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	7,927	7,927
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		
მოგება წლის განმავლობაში	34,060	34,060
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან		
დივიდენდები	(23,252)	(23,252)
სულ ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	(23,252)	(23,252)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	18,735	18,735

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-28.

'000 ლარი	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება დაბეგვრამდე		35,735
<i>კორექტირებები:</i>		
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		50
ცვეთა და ამორტიზაცია		347
		36,132
<i>ცვლილებები:</i>		
გადახდილ ავანსებში		(763)
მოთხოვნებში სერვისის მომწოდებლების მიმართ		(373)
შეზღუდულ ფულად ნაშთში		(45)
მარაგებში		(24)
საგადასახადო ვალდებულებებში		(3,244)
კლიენტისგან მიღებულ ავანსებსა და წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებში		(69)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		586
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		32,200
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,491)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		27,709
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,827)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,827)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		
გადახდილი დივიდენდები		(23,252)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(23,252)
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		1,630
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		15,460
უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში მოძრაობის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(76)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	8	17,014

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10-28.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მარსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2015 წლის 5 მაისს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალო, ქავთარაძის ქუჩა #5. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 405099058.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მულტიბრენდული ინტერნეტ პლატფორმის www.crystalbet.com საქმიანობის წარმართვა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, ონლაინ peer-to-peer და სხვა ონლაინ თამაშებს.

კომპანია საკუთარ საქმიანობას წარმართავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 33 სალაროს, ქვეტირში არსებული სამორინეს, ბორჯომში არსებული ტოტალიზატორისა და ხაშურში არსებული სლოტ კლუბის საშუალებით.

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ლევან ახვლედიანი	60%	60%
კნიაზ დასენი	25%	25%
გიორგი ჩხეიძე	15%	15%

2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი, ლევან ახვლედიანი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტი „კომპანიის“ ფასს-ების შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგებაა და მასში გამოყენებულია ფასს 1 (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება).

როდესაც კომპანია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფასს-ების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ ნაკრებს მოამზადებს, ისინი მომზადებული იქნება ხსენებული თარიღისთვის მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ ნაკრებისთვის შესადარისი ინფორმაციის შექმნა, მომზადებულია ხელმძღვანელობის მიერ, იმ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ცოდნის გამოყენებით, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ძალაში იქნება 2018 წლის 31 დეკემბერს, ასევე იმ, სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებით, რომლებიც გამოყენებულ იქნება კომპანიის ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ სრულ ნაკრებში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გარდა, არ მოიცავს წინა წლების შესაბამის ციფრებს. ამგვარი სტანდარტის, ინტერპრეტაციის ან სააღრიცხვო პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილება შესაძლოა მოითხოვდეს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას, მანამ სანამ ისინი მოიცავენ ამგვარ შესადარის ინფორმაციას.

კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების მიღებამდე. შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებს ფასს-ებზე გადასვლა წარმოდგენილ ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

– შენიშვნა 5 – შემოსავალი;

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს ისეთი დაშვებები და შეფასებები გაურკვეველობები, რომლებიც ატარებს შემდეგ ფინანსურ წელიწადში არსებითი კორექტირების რისკს.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განხორციელდა შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 11(ა) - აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2017
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	
შემოსავალი ონლაინ peer-to-peer თამაშებიდან	5,437
სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,027
სხვა შემოსავალი	
შემოსავალი კაზინოს ონლაინ თამაშებიდან	48,139
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან	46,139
წმინდა ონლაინ შემოსავალი	102,742

წმინდა ონლაინ შემოსავალი წარმოდგენილია პროგრესულ საპრიზო ფონდში შენატანების, კლიენტებისთვის განკუთვნილი წამახალისებელი აქციებისა და ბონუსების გამოკლებით.

შემოსავლის უდიდესი ნაწილი დაგენერირებულია საქართველოში არსებული ონლაინ მომხმარებლებისგან. ბიზნესის ოპერაციების შინაარსიდან გამომდინარე, არ არსებობს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებების შინაარსის შესახებ წარმოდგენილია შენიშვნაში 15 (ა).

6. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2017
ტოტალიზატორის მოსაკრებელი გადასახადი	26,693
თამაშების მომწოდებლის ხარჯი	13,182
მარკეტინგის ხარჯი	8,327
სერვისის მომწოდებლის მოსაკრებლები და ბანკის საკომისიოები	8,325
გადასახადები, მოგების გადასახადის გამოკლებით	2,811
იჯარის ხარჯები	880
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	509
პროფესიული სერვისები	487
სხვა ხარჯი	269
	61,483

7. გადასახადები

(ა) მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები

კომპანიაზე ვრცელდება საქართველოში არსებული მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან საქართველოში სპეციფიურ დაბეგვრის რეჟიმს ექვემდებარება. განაწილებული მოგების დაბეგვრის სანაცვლოდ, ონლაინ ტოტალიზატორის ბრუტო შემოსავალი (ანუ მიღებული ფსონები) იბეგრება. ამის შედეგად, ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული შემოსავლის შემდგომი განაწილება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს.

1,675 ათასი ლარი მოგების გადასახადი 2017 წლის განმავლობაში, ინტერნეტ ტოტალიზატორის გარდა, სხვა საქმიანობიდან მიღებულ განაწილებულ მოგებასთან არის დაკავშირებული.

მოგების გადასახადის განსაზღვრის და აღრიცხვის საბუღალტრო პოლიტიკა წარმოდგენილია შენიშვნაში 15 (ე).

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვარს.

(ბ) სხვა გადასახადები

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
ტოტალიზატორის მოსაკრებელი გადასახადი	2,642	11,402
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	(5,488)
სხვა გადასახადი	28	-
	2,670	5,914

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი 2017	2017 წლის 1 იანვარი
ნაღდი ფული სალაროში	10,616	10,960
ბანკში არსებული ანგარიშები	6,398	4,500
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებში	17,014	15,460

9. კლიენტისგან მიღებული ავანსები და წარმოებული ფინანსური ვალდებულებები

'000 ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი 2017	2017 წლის 1 იანვარი
კლიენტისგან მიღებული ავანსები და ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები*	1,597	1,666
	1,597	1,666

*კლიენტისგან მიღებული ავანსები მოიცავს ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონებს, რომლებიც წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომლებიც სააღრიცხვო თარიღისთვის ჯერ არ ჩატარებულა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ

ფინანსურ ინსტრუმენტებს და კომპანიის მიერ განსაზღვრულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღიარებულ ფინანსური ვალდებულებები.

წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ შეადგენს არსებით თანხას და არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ფინანსური ინსტრუმენტების ვადიანობის დადგომის თარიღისთვის. ტოტალიზატორის ფსონები არ არის პროცენტის მატარებელი, შესაბამისად ისინი არ ატარებენ საპროცენტო და საკრედიტო რისკებს.

10. კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში და კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა, როგორც ნული.

(ბ) დივიდენდები

კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და ზოგად კრებაზე სარგებლობენ პროპორციული ხმის მიცემის უფლებით კომპანიის აქციებში წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფას-ის თანახმად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაუნაწილებელი მოგების თანხამდე. 2017 წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ მოხდა 23,252 ათასი ლარის დივიდენდების გამოცხადება და გადახდა.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

11. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, რეალური სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე

ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით გამოყენების მიზეზით, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 11(ბ) (iv))

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე. მათ მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების დამფუძნებლისთვის წარდგენა.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი როლი და ვალდებულებები.

დამფუძნებლები ზედამხედველობას უწევენ, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავენ რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის ბალანსზე არსებული შემდეგი ნაშთებიდან: კომპანიის მოთხოვნები სერვისის მომწოდებლებისგან, შეზღუდული ფულადი ნაშთები და ბანკში არსებული ანგარიშები.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
	2017 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 1 იანვარი
'000 ლარი		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,398	4,500
შეზღუდული ფულადი ნაშთები	115	70
მოთხოვნები სერვისის მომწოდებლების მიმართ	2,893	2,520
	9,406	7,090

მოთხოვნები ფულადი სახსრების მომწოდებლებისგან

მომსახურების მომწოდებლების მიმართ არსებული მოთხოვნების არსებითი ნაწილის გადახდა განხორციელდა სააღრიცხვო თარიღის შემდგომ. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს არსებითი მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ აღნიშნულ

მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპანიის პოლიტიკის თანახმად, კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

ბანკში არსებული ანგარიშები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და შეზღუდული ნაშთები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც შეესაბამება საერთაშორისო სააგენტოს Fitch-ის მოკლევადიანი სადეფოლტო რეიტინგი BB-. კომპანიის მოლოდინის თანახმად, მცირეა რისკი რომ გარკვეული კონტრაგენტის მიერ ვერ მოხერხდება კომპანიის მიმართ ვალდებულებების შესრულება.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შემდგომში დაგეგმავს ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანიის საქმიანობიდან და სპორტული თამაშების რეზულტატების ცვალებადობიდან გამომდინარე არსებობს ალბათობა რომ რეალური ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება მოსალოდნელი ნაკადებისგან. ამის შედეგად, კომპანია იყენებს მეტად კონსერვატულ მიდგომას ფულადი სახსრების ბიუჯეტირების დროს, იმ მიზნით რომ მოხდეს თამაშებში შესაძლო უარყოფითი რეზულტატების შედეგად გამოწვეული დანაკარგების დაზღვევა.

კომპანია უზრუნველყოფს საკმარის და ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. თუმცა არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნებისთვის კომპანია იყენებს ხანდაზმულობის ანალიზს. არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება უნდა დაიფაროს სააღრიცხვო თარიღის შემდგომ ექვსი თვის განმავლობაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ტოტალიზატორის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვა კომპანიის ბიზნესის ფუნდამენტური ნაწილია. კომპანიაში მოქმედებს ცალკეული დეპარტამენტი, რომლის ფუნქციას წარმოადგენს საბუკმეიკერო ალბათობების და ტოტალიზატორის ფსონების რისკების მართვა.

სავალუტო რისკი

2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიას არ გააჩნია არსებითი დამოკიდებულება სავალუტო რისკის მიმართ.

12. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

მიმდინარეობს სასამართლო დავა კომპანიის ყოფილ თანამშრომელთან, რომელიც ეჭვმიტანილია თაღლითობის სქემის შემუშავებაში. კომპანიის დავის საგანს წარმოადგენს 1,200 ათასი ლარი. ამ ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღისთვის, მიყენებული ზარალის იმ ოდენობის სიზუსტით შეფასება, რომელიც შესაძლოა კომპანიას აუნაზღაურდეს, შეუძლებელია (იხილეთ მე-17 შენიშვნა).

13. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

'000 ლარი	2017 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	372
	372

(ბ) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან

'000 ლარი	დირეგულა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		
	ნაშთი		
	2017	31 დეკემბერი, 2017	1 იანვარი, 2017
სერვისების მიწოდება*:			
საერთო მართვის ქვეშ არსებული კომპანიები	111	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	28	-	-
სერვისების შესყიდვა**:			
საერთო მართვის ქვეშ არსებული კომპანიები	(336)	(3)	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	(553)	(140)	(31)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების დახურვა ხდება სააღრიცხვო პერიოდიდან 6 თვის ვადაში. ცხრილში წარმოდგენილი ნაშთები არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე პერიოდებში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მოთხოვნების მიმართ გაუფასურების რეზერვების გამოყენება.

* სერვისების მიწოდება მოიცავს დაკავშირებულ მხარეებთან „კრისტალბეთის“ სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების ხელშეკრულებებს.

** სერვისების შესყიდვა მოიცავს დაკავშირებულ მხარეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისების მიწოდებასთან მიმართებაში:

- სხვადასხვა ქონების, მათ შორის კომპანიის სათაო ოფისის, ლიზინგი;
- კომპანიის სარეკლამო მომსახურება;
- რულების პირდაპირი ეთერის უზრუნველყოფა და ამ მომსახურებების ტექნიკური მხარდაჭერა.

14. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული დირეგულების საფუძველზე გარდა დადებული ტოტალიზატორის ფსონების ტრანზაქციებისა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი დირეგულებით.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მათ კომპანია თანმიმდევრულად იყენებს.

კომპანიამ მიიღო ფასს 9 (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფასს 15 (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან). ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია ფასს 9 და ფასს 15-ის მიღების საფუძველზე.

(ა) შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორისა და თამაშების საკმეიანობის აღრიცხვა შემოსავალში წარმოებს მოთამაშისგან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი დირეგულებით, უფასო ფსონების, წამახალისებელი აქციების, ბონუსების, პირდაპირ დაკავშირებული გადასახადებისა და სხვა სამართლიანი დირეგულების კორექტირებების გამოკლებით.

კომპანიის მიერ მიწოდებული სერვისის მოიცავს ონლაინ თამაშებს: ტოტალიზატორის აქტივობებს, კაზინოსა და peer-to-peer თამაშებს. კომპანია ასევე ამუშავებს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვეტირში არსებულ სამორინეს, ბორჯომში არსებულ ტოტალიზატორსა და ხაშურში არსებულ სლოტ კლუბს.

კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორისა და კაზინოს საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, გარდა peer-to-peer თამაშებისა, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს. შემოსავალს არ ერიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადი, გარდა ნარდისა, რომლის შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს დაქვითვის შემდგომ.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შესახებ. შესრულების ვალდებულებების დასრულების შემდეგ, კომპანია საოპერაციო ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემა.

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათსა და ვადებზე, ასევე მათთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკებზე:

მომსახურების ტიპი	შესრულების ვალდებულების და მნიშვნელოვანი გადახდის პირობების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები
<i>შემოსავალი peer-to-peer თამაშებიდან</i>	Peer-to-peer თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს („რეიკი“) და ტურნირებში მონაწილეობის საკომისიოებს თამაშებიდან, რომლებიც დასრულებული იყო სააღრიცხვო თარიღისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონლის ან მომსახურების კონტროლს და შესაბამისად მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მომხმარებლის მიერ თამაშის დაწყებისას, „რეიკი“ აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში, ყოველ დასრულებულ თამაშზე.
<i>სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებისგან</i>	სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებისგან მოიცავს კლიენტების ტრანზაქციების საკომისიოებსა და peer-to-peer გადარიცხვებიდან მიღებულ საკომისიოებს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონლის ან მომსახურების კონტროლს და შესაბამისად მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების უნარს. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ტრანზაქციას/ peer-to-peer გადარიცხვას განახორციელებს, შემოსავალი აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში.

სხვა შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, პირდაპირ

დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებულ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებით და აღირიცხება შემოსავალში კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში.

ონლაინ კაზინოს შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა მოგებების სახით, რაც წარმოადგენს სხვაობას დადებულ თანხებსა და მომხმარებელთა მოგებების შორის.

მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები აკლდება ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს, ონლაინ კაზინოსა და peer-to-peer თამაშების შემოსავალს და წმინდა შემოსავალია წამოდგენილი მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები შეადგენს ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ მოგებას ან ზარალს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი წარდგენილია წმინდა პოზიციის საფუძველზე, უცხოური ვალუტის პოზიციების მოძრაობით გამოწვეული ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის სახით.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

არაფულადი მუხლები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ისტორიულ საფუძველზე ფასდება კონვერტირდება ოპერაციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურების ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსების ან მოგების განაწილების გეგმების საფუძველზე, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ამგვარი თანხა თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისთვის და ამგვარი ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

(ქ) დაბეგვრა

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება ბიზნესის კომბინაციებს ან პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ ოპერაციებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ზღვარს გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ლიმიტებში წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს სხვა გადასახადების მუხლში.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი

გადასახადი აზარტულ თამაშებზე წარმოადგენს დარიცხულ თანხებს საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებშიც საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ბუნდოვანია.

ონლაინ ტოტალიზატორზე მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 7%-ს ბრუტო შემოსავალიდან (ანუ მიღებული ფსონებიდან) 2017 წლის განმავლობაში.

(გ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ ძირ თანხას და ის მოიცავს მარაგების შეძენისას და წარმოების გაწეულ ხარჯებს, საკონვერტაციო და სხვა სახის ხარჯებს, რომელთა გაწევაც ხდება მათი არსებულ ადგილზე და მდგომარეობაში მოყვანის მიზნით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს სამუშაოს ჩვეულებრივ პირობებში მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვის ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, გატანის და იმ ადგილის დასუფთავების ღირებულებას, სადაც აქტივია განთავსებული, ასევე სესხების პროცენტის კაპიტალიზაციის ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც აღნიშნული აქტივის ცალკე კომპონენტები (მთავარი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი სამუშაო მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითად საშუალებებს თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

საშუალო მომსახურების ვადა

- | | |
|--------------------------------------|-----------|
| – საოფისე აღჭურვილობა | 3-5 წელი; |
| – მანქანა-დანადგარები | 3-7 წელი; |
| – ავტომობილები, ავეჯი და ხელსაწყოები | 3-5 წელი; |

ცვეთის მეთოდების, აქტივების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(თ) არამატერიალური აქტივები

(iv) სხვა არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც დასრულებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. სხვა არამატერიალური აქტივები ძირითადად წარმოდგენილია სატელეკომუნიკაციო ოპერირების ლიცენზიებს, კომპიუტერულ პროგრამულ ლიზენზიებსა და კაპიტალიზირებულ სამაუწყებლო უფლებებს.

(v) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზირდება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით წარმოქმნილ გუდვილსა თუ ბრენდზე გაწეული, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

(vi) ამორტიზაცია

ამორტიზაცია დაანგარიშდება აქტივის თვითღირებულების გათვალისწინებით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა.

მიმდინარე და შესადარის პერიოდებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია 3-10 წლამდე.

ცვეთის მეთოდების, აქტივების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა ხორციელდება ყოველ ფინანსურ წელს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

არა-წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულადი სახსრებს

და მათი ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ისინი კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ფულად სახსრებსა და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი 3 თვეზე ნაკლები ვადით.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

ფასს 9 განსაზღვრავს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების აღიარების და შეფასების, ასევე რამდენიმე ხელშეკრულების მოთხოვნებს, რომლებიც ეხება არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვას. ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

(vii) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებების - კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39-ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან და შეფასებასთან მიმართებაში. ამასთან ის აუქმებს ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილი ფინანსური აქტივების, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიას.

ფასს 9-ის ფარგლებში თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდეგი სახით: ამორტიზირებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა მთლიან შემოსავალში ასახვა (FVOCI) – სასესხო ინვესტიცია; რეალური ღირებულებით სხვა მთლიან შემოსავალში ასახვა (FVOCI) – კაპიტალური ინვესტიცია ან რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვა (FVTPL). ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომელშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და რომელიც არ განისაზღვრება რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით:

- ის შესულია ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანს წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას:

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	ეს აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით (იხილეთ პარაგრაფი (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი და გაუფასურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
--	---

ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე 2017 წლის 1 იანვარს ერთპიროვნულად უკავშირდება გაუფასურების ახალ მოთხოვნებს, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

(viii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ 'გაწეული საკრედიტო ზარალის' მოდელს, მომავალზე ორიენტირებული 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის' მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ეხება ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებსა და

სახელშეკრულებო აქტივებს. ფასს 9-ის ფარგლებში, საკრედიტო ზარალი უფრო ადრე აღიარდება, ვიდრე ბასს 39-ის ფარგლებში.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ფასს 9-ის ფარგლებში, ზარალის რეზერვები შეფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთის საფუძველზე:

_ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებიდან; და

_ არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევას მოვლენებიდან.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

იმის განსაზღვრისას, ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ და ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას, კომპანია ითვალისწინებს იმ გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება და ხელმისაწვდომია არაგონივრული ხარჯის ან მცდელობების გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას, ასევე კომპანიის ისტორიულ გამოცდილებასა და საკრედიტო შეფასების საფუძველზე გაკეთებულ ანალიზს და მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციას.

კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუ მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად მიიჩნევს, როდესაც:

_ კლიენტი ვერ შესძლებს საკრედიტო ვალდებულებების გადახდას კომპანიისთვის სრული ოდენობით, კომპანიის მიერ ისეთი ქმედებების განხორციელების გარეშე, როგორც არის ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან

_ ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი ვადის განმავლობაში.

მაქსიმალური გათვალისწინებული პერიოდი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას წარმოადგენს ისეთ მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია საკრედიტო რისკს ექვემდებარება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის ალბათობაზე დაფუძნებულ შეწონილ შეფასებას. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დეფიციტის მიმდინარე ღირებულების სახით (ე.ი. როგორც სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიმართ მართებულ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების წარდგენა

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი დაიქვითება აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

(კ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების თანახმად.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფასს-ის თანახმად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გაუნაწილებელი მოგების თანხამდე.

(ლ) გაუფასურება

(i) არა-ფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოღინების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოღინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ღირებულება) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ აღდგენად ღირებულებას აღემატება.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის აღიარების მიზანს წარმოადგენს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) აქტივების საბალანსო ღირებულების პროპორციულად შემცირება.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველ ანგარიშგების თარიღში ნებისმიერ მითითებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირებულია ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი გაუქმდება თუ ადგილი ექნება ცვლილებას შეფასებებში, რომელიც გამოიყენება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრად. გაუფასურების ზარალი უქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ გაუფასურების ზარალი არ აღიარდებოდა.

16. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან, სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების მიღებას მათი ძალაში შესვლისთანავე.

(ა) ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

კომპანიას არ დაუსრულებია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული პოტენციური გავლენის ანალიზი. ფასს 16-ის გამოყენების ფაქტიური გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ შორის 2019 წლის 1 იანვარს „კომპანიის“ საკრედიტო განაკვეთზე, „კომპანიის“ საიჯარო პორტფელის შემადგენლობაზე მოცემული თარიღისთვის, „კომპანიის“ მიერ განხორციელებულ ბოლო შეფასებაზე იმასთან დაკავშირებით, ისარგებლებს ის თუ არა რაიმე სახის იჯარის განახლების ფუნქციით და ასევე „კომპანიის“ მიერ პრაქტიკული ჩანაწერებისა და აღიარებების გათავისუფლების გამოყენებისთვის შერჩეულ დიაპაზონზე.

17. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები

2018 წლის აპრილში, კომპანიის საკონტროლო პაკეტი (51%) შეისყიდა სს „ელექტრაგორქსმა“ (მალტა), შუამავალმა საწარმომ, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის GVC Holdings PLC („ჯგუფი“), მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტოტალიზატორებისა და აზარტული თამაშების მქონე ჯგუფი, რომლის საქმიანობა ვრცელდება როგორც ინტერნეტში ასევე სამომხმარებლო სექტორში.

2018 წლის აგვისტოში, სს „ელექტრაგორქს“-ს და GVC Holdings PLC-ს („ჯგუფის“) კონტროლის ქვეშ არსებული შუამავალ საწარმოს - Kaiane Services Limited-ს შორის გაფორმდა კომპანიის აქციების შესყიდვის ხელშეკრულება კომპანიის საკონტროლო პაკეტის (51%-ის) შესყიდვასთან დაკავშირებით.

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

აქციონერები	კომპანიის წილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის
Kayane Services Limited, Malta	51%
ლევან ახვლედიანი	24%
კნიაზ დასენი	10%
გიორგი ჩხეიძე	5%
კობა გიგლემიანი	5%
ვანო გიგლემიანი	5%

2017 წლის განმავლობაში, კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი ექვმიტანილი იყო თაღლითობის სქემის შემუშავებაში, რის გამოც ძალოვანმა სტრუქტურებმა წამოიწყეს ოფიციალური გამოძიება. 2018 წლის სექტემბერში, თბილისი საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ სცნო აღნიშნული თანამშრომელი. კომპანიას აქვს გეგმა შეიტანოს სარჩელი საქალაქო სასამართლოში აღნიშნული სქემიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით. დავის საგანი შეადგენს დაახლოებით 1,200 ათასი ლარს.

2018 წლის ოქტომბერში კომპანიამ დახურა საქართველოში, კერძოდ, ხაშურში არსებული სლოტ კლუბი.

შპს „მარსი“

*2017 წლის მმართველობის ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა*

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ.....	3
1.1 ორგანიზაცია	3
1.2 მფლობელები	3
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	3
2.1 კომპანიის ბიზნეს-პროფილი და ოპერაციები	3
2.2 ბაზრის მიმოხილვა	4
2.3 კომპანიის განვითარება.....	4
3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები	5
3.1 ნებართვები და ლიცენზიები	5
3.2 სხვა გადასახადები	5
4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	6
4.1 საბალანსო უწყისი.....	7
4.2 მოგება-ზარალის უწყისი	7
4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები	8
5. კომპანიის ძირითადი რისკები	9
6. სამომავლო გეგმები და მიზნები	10

1. კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს „მარსი“ (შემდგომში „კომპანია“), დაარსებული 2005 წლის 5 მაისს, „მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად“, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. მისი საინდენტიფიკაციო ნომერია 405099058.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქ., #5.

1.2 მფლობელები

კომპანიის მესაკუთრებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები. მათ შორის კომპანიის წილის პროცენტული გადანაწილება, როგორც 01.01.2017-ის, ასევე 31.12.2017-ის მდგომარეობით, არის შემდეგი:

- ლევან ახვლედიანი: 60%;
- კნიაზ დასენი: 25%;
- გიორგი ჩხეიძე: 15%.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

2.1 კომპანიის ბიზნეს-პროფილი და ოპერაციები

დაარსების დღიდან, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების მოწყობა ვებ-გვერდის - www.crystalbet.com-ის საშუალებით. აგრეთვე, სრული 2017 წლის განმავლობაში, კომპანია ფლობდა შემდეგ მიწის ობიექტებს:

- სამორინეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში;
- ტოტალიზატორს ქალაქ ბორჯომში;
- სათამაშო აპარატების სალონს ქალაქ ხაშურში.

ფულადი სახსრების მოძრაობა - როგორც შემოდიან, ისე გადიან, ხორციელდება ა) შესაბამის დაწესებულებებთან არსებული საბანკო და საპროცესინგო მომსახურებების ფარგლებში, და ბ) სრულიად საქართველოს მასშტაბით განთავსებული სალაროების საშუალებით. 2017 წლის განმავლობაში აღნიშნული სალაროების რაოდენობა შეადგენს 33-ს.

დაარსების დღიდან კომპანია საკუთარ მომხმარებლებს თავაზობს ბაზარზე არსებულ წამყვან პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- სპორტი (ტოტალიზატორი);
- ლაივ სამორინე;
- P2P თამაშები;
- სხვა.

2.2 ბაზრის მიმოხილვა

დაარსების დღიდან, კომპანია ოპერირებს სათამაშო ბიზნესის სეგმენტზე და შემოიფარგლება საქართველოს ბაზრით, რომელიც თავის მხრივ, ხასიათდება მზარდი კონკურენციითა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებით.

2017 წლის განმავლობაში, აზარტული თამაშების ონლაინ სეგმენტზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ძირითადი მოთამაშეები:

- Adjarabet;
- Europe-bet;
- Lider-bet;
- Betlive
- Crocobet.

2.3 კომპანიის განვითარება

სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინოვაციები ხასიათდება მარტივი კოპირებადობით და შესაბამისად, რთულია მოპოვებული კონკურენტული უპირატესობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნება, კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შესთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს მეტი სიახლე და ამავდროულად, გააუმჯობესოს ხელმისაწვდომობა არსებულ პროდუქტებზე.

კომპანიის დაარსებიდან 2017 წლის ფინანსური წლის ბოლომდე შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი:

- 2015 წელი: გაეშვა ვერ-გვერდ www.crystalbet.com -ის მობილური ვერსია და კომპანია გახდა ბაზარზე ერთ-ერთი მოწინავე, ვინც მოახდინა არსებული P2P თამაშების მობილურ ვერსიაში ინტეგრაცია;
- 2016 წელი: ზემოთ ხსენებული ინტეგრაციის მასშტაბებმა მოიცვა ონლაინ სამორინე, სლოტები და სხვა თამაშობები;
- 2017 წელი: გაიზარდა ონლაინ-სამორინეს თამაშობების შემცველობა და გაუმჯობესდა არსებული პროდუქცია.

გამომდინარე ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარებიდან, კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- არსებულ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა უწყვეტ რეჟიმში;
- ხელმისაწვდომობის გამარტივება (გამომდინარე ინტერნეტის, სმარტფონებისა და სხვადასხვა ციფრული კომუნიკაციის საშუალებების სწრაფი განვითარებისა);
- მომხმარებლებთან ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის არხების გაფართოება;
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება.
- მომხმარებლებისათვის ახალი პროდუქტების შეთავაზება.

ხსენებული პრიორიტეტები, თავის მხრივ, გულისხმობს თანდართულ რისკებს, რომლის წინაშეც დგას კომპანიის მენეჯმენტი და რომელთა მინიმიზაციაც წარმოადგენს მისსავე უპირველეს ვალდებულებას. კომპანიის წინაშე არსებული რისკების ანალიზისათვის გთხოვთ იხილოთ პუნქტი 5 – „კომპანიის ძირითადი რისკები“.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

3.1 ნებართვები და ლიცენზიები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აზარტული თამაშოების მოწყობისათვის საჭიროა შესაბამისი ნებართვების (ლიცენზიების) არსებობა, თუმცა უშუალოდ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშოებ(ებ)ის ორგანიზებისათვის ცალკე ნებართვა არ გაიცემა. ამ მხრივ საკანონმდებლო მოთხოვნას წარმოადგენს რეალური ობიექტის არსებობა (ობიექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ პუნქტში 2.1 – „კომპანიის ბიზნეს პროფილი და ოპერაციები“) და შემოსავლების სამსახურის მიერ კვარტალური ელექტრონული ველის გამოყოფა.

შპს „მარსს“ მიღებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და ლიცენზია, და ახორციელებს ოპერაციებს მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში.

3.2 სხვა გადასახადები

კომპანიას, ოპერაციებიდან გამომდინარე, ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

- ✓ მოგების გადასახადის სპეციალური რეჟიმი - დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორის ფარგლებში მიღებული ფსონები და განაკვეთი შეადგენს აღნიშნული ფსონების 7%-ს;
- ✓ მოგების გადასახადი (15%) - მოგების გადასახადის ახალი, ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით (მოქმედი 2017 წლის 1 იანვრიდან) დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. 2017 წლის განმავლობაში აღნიშნული გადასახადის ხარჯმა შეადგინა 1,675 ათასი ქართული ლარი;

- ✓ დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი) - ამ ჭრილში კომპანიას გააჩნია შემდეგი ტიპის ოპერაციები: ა) 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები; ბ) დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები, და გ) ოპერაციები, რომლებიც არ წარმოადგენს დღგ-თი დასაბეგრს;
- ✓ საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი განაკვეთი) - აღნიშნული გადასახადის ფარგლებში ხვდება ა) კომპანიისათვის დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებლები, ბ) ფიზიკური პირებისათვის, მიღებული მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი, და გ) მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები.
- ✓ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი - ამ შემთხვევაში ობიექტი გადახდის წყაროსთან, მისი წარმომავლობის გათვალისწინებით, იბეგრება 5%-იანი, 10%-იანი, ან 15%-იანი განაკვეთით;
- ✓ დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი - იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ყველა აქციონერი არის საქართველოს რეზიდენტი, მათი ამ გზით მიღებული, დაბეგვრის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით;
- ✓ ქონების გადასახადი - ამ მიმართულებით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში და მის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა.შ. აღნიშნული გადასახადი, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, იანგარიშება როგორც საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1%.

ყოველი ზემოთ მოცემული ტიპის გადასახადის დარიცხვა / დაკავება / ბიუჯეტის სასარგებლოს გადახდა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შენიშვნა: 4.1 და 4.2 პუნქტებში წარმოდგენილი კომპონენტები არის ძირითადი და არა ყოვლისმომცველი. კომპანიის 2017 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, მოცემულია 2017 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში.

4.1 საბალანსო უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გრძელვადიანი აქტივები		3,628	1,148
მოკლევადიანი აქტივები	4.1.1	20,902	18,143
გაუნაწილებელი მოგება		18,735	7,927
მოკლევადიანი ვალდებულებები	4.1.2	5,795	11,364

4.1.1. გამომდინარე კომპანიის ოპერაციების სპეციფიკიდან, კომპანიის აქტივების უდიდეს ნაწილს (01.01.2017: 80%; 31.12.2017: 69%) წარმოადგენს ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

4.1.2. რაც შეეხება ვალდებულებებს, ამ შემთხვევაში გამოსაყოფია:

- ვალდებულებები კლიენტების მიმართ: რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება აუცილებელი გახდეს ნებისმიერ დროს. აღნიშნულისთვის კომპანია იყენებს ზემოთ ხსენებულ ფულად სახსრებს. უფრო დეტალურად, კომპანიის ლიკვიდურობასა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, გთხოვთ, იხილოთ პუნქტი 5 – „კომპანიის ძირითადი რისკები“.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებები, როგორც წესი, იფარება ხელშეკრულებით განსაზღვრულ უმოკლეს ვადებში, არა უგვიანეს ვალდებულების წარმოშობიდან 6 თვისა.

4.2 მოგება-ზარალის უწყისი

'000 ლარი	შენიშვნა	2017
შემოსავალი	4.2.1	102,742
საოპერაციო ხარჯები	4.2.2	(61,483)
პერსონალის სარგებელი	4.2.3	(5,310)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		35,785
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		34,060

4.2.1 კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც, გამომდინარე კომპანიის სპეციფიკიდან, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ნეტო რიცხვად.

4.2.2. საოპერაციო ხარჯების კუთხით, უდიდესი წილი - 43.4% დარიცხულია მოგების გადასახადის სპეციალური რეჟიმის ფარგლებში, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ საკანონმდებლო მოთხოვნების ნაწილში. რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვანი საოპერაციო ხარჯების პროცენტულ გადანაწილებას, ისინი კლებადობის მიხედვით, არის შემდეგი:

- პროვაიდერების ხარჯები - 21.4%;
- სარეკლამო და მარკეტინგული დანახარჯები - 13.5%;
- საკომისიო ხარჯები: 13.5%;
- სხვა დანარჩენი: 8.2%.

4.2.3 რაც შეეხება სხვა მნიშვნელოვან (არა საოპერაციო) ხარჯებს, გამოსაყოფია დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი სარგებლები, რომელთა ჯამურმა ოდენობამაც 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 5,310 ათასი ლარი.

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა კეთილდღეობა

როგორც კომპანიის მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 19%-ით, ხოლო საშუალო ანაზღაურება - 41%-ით.

კომპანია მუდმივად ცდილობს შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო და ამავდროულად, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით.

სავაჭრო ურთიერთობები

კომპანიისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე კონტრაგენტებთან, რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კომპანიის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მოცემულ მომენტში არ არსებობს სხვა სახის მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებელი, რომელიც, მისი წარმოდგენის შემთხვევაში, დაეხმარებოდა მოცემული მმართველობის ანგარიშგების წამკითხველს შპს „მარსის“ განვითარების, საქმიანობისა და მდგომარეობის ძირეული ასპექტების უკეთ გაგებაში.

5. კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკისა და სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შპს „მარსი“-ს მენეჯმენტი, რომელსაც აქვს რისკების მართვის პროცედურების იმპლემენტაციისა და მისი შემდგომი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, აცნობიერებს კომპანიის წინაშე არსებულ რელევანტურ რისკებს, და ბაზარზე არსებულ ცვლილებებზე მუდმივი დაკვირვებითა და მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაციას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავიათ კომპანიის კვალიფიციურ თანამშრომლებს, რომლებიც აცნობიერებენ დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს და რომელთა გადამზადებაც, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

კომპანიის წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

- საკრედიტო რისკი

გამომდინარე კომპანიის სპეციფიკისა, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობით ფულადი აქტივების არსებობას, არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც აძლევს საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირების საშუალებას.

- ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ დროულად და სრულად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვისის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

- სავალუტო რისკი

ძირითადად, კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან

(ქართული ლარი). ძირითად ვალუტებს, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები, წარმოადგენს აშშ დოლარი (USD) და ევრო (EUR).

გამომდინარე იქიდან, რომ სათამაშო ბიზნესის ქართული ბაზარი დღეის მდგომარეობით არ გამოირჩევა მომწოდებელთა მრავალფეროვნებით, პროდუქტების დიდი ნაწილის მოწოდება (და შესაბამისად, შემდგომი ანგარიშსწორება) ხდება უცხოელი კონტრაგენტების მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულოვანდე შემცირება. თუმცა მენეჯმენტი, უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობით, მათი სათანადო გადანაწილებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების პერიოდული გადახედვით და გაუმჯობესებით, ახერხებს ამ მხრივ გააჩნდეს მყარი პოზიცია.

- IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ონლაინ სათამაშო ბიზნესი, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით. შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება IT მიმართულებით უსაფრთხოების ზომების უწყვეტ გაუმჯობესებას.

კომპანიის მენეჯმენტი, მუდმივი ზედამხედველობით, კვალიფიციური თანამშრომლებითა და საჭირო აღჭურვილობების საშუალებით, იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ვებ-გვერდზე ვიზიტი, თითოეული მომხმარებლისათვის, იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ხასიათდებოდეს შეფერხებების მინიმალური რაოდენობით. აღნიშნული ბერკეტების საშუალებით, კომპანია მუდმივად იყო, და რჩება, ბაზარზე მაღალი რეპუტაციის მქონედ და ამგვარად გაგრძელება წარმოადგენს სამომავლო ფუნდამენტური სახის პრიორიტეტს.

განხილულ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მოცემულია კომპანიის 2017 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში (გთხოვთ, იხ. ახსნა-განმარტებითი შენიშვნა #11).

6. სამომავლო გეგმები და მიზნები

შპს „მარსის“, როგორც ქართულ სათამაშო ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის, უმთავრესი სამომავლო მიზანია არსებული წამყვანი პოზიციის შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება.


მომდევნო ფინანსური წლისათვის, კომპანიის საოპერაციო გეგმებს შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო სათამაშო ბაზარზე წარმოდგენილ წამყვან კომპანიასთან;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით;
- არსებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;
- არსებული სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში, პროდუქტის ასოციმენტის გაფართოება;
- მომხმარებლებისათვის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება;
- მომხმარებლებისათვის მეტი წამახალისებელი საშუალების ორგანიზება;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ახალი არხების დამატება.

გიორგი ჩხეიძე

დირექტორი

- პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო სათამაშო ბაზარზე წარმოდგენილ წამყვან კომპანიასთან;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით;
- არსებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;
- არსებული სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში, პროდუქციის ასოსტიმენტის გაფართოება;
- მომხმარებლებისათვის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება;
- მომხმარებლებისათვის მეტი წამახალისებელი საშუალების ორგანიზება;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ახალი არხების დამატება.



გიორგი ჩხეიძე

დირექტორი